



## ENTO - ევროპული ტრენინგ ორგანიზაციების ქსელი

### არსი

ENTO არის ტრენინგ ორგანიზაციების ევროპული ქსელი, რომელიც ევროსაბჭოს წევრი თითქმის ყველა ქვეყნიდან აერთიანებს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისთვის ტრენინგის მიმწოდებლებს. ENTO ჩამოყალიბდა როგორც ევროპის საბჭოს შვილობილი ორგანიზაცია, ხოლო 1995 წლიდან, საფრანგეთში რეგისტრაციის გავლის შემდეგ, იგი დამოუკიდებელი გახდა.

ENTO არაკომერციული, არასამთვრობო ორგანიზაციაა. ის ფინანსდება საწევრო გადასახადებით და ზოგიერთი წევრი ორგანიზაციის სპონსორობით. ორგანიზაციას ფინანსურად ეხმარება ევროპის საბჭოც. ადამიანური რესურსებით, აღჭურვილობით ქსელს ეხმარებიან წევრი ორგანიზაციები. ქსელის ადმინისტრირება ხდება სტრასბურგში სადაც მდებარეობს ENTO-ს სათაო ოფისი.

### მისია და მიზნები

ადგილობრივი და რეგიონალური დემოკრატია თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების ქვაკუთხედიანია. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ევროპის ბევრმა ქვეყანამ განახორციელა თვითმმართველობის სრული რეფორმა.

დემოკრატია ეყრდნობა არამხოლოდ დემოკრატიულ ფასეულობებს, არამედ საჯარო მოხელეთა ეფექტურ მუშაობასაც. შესაბამისად, ENTO-ს მისიაა ხელი შეუწყოს დემოკრატიული და ეფექტური მმართველობის ჩამოყალიბებას არჩევითი და აღმასრულებელი რგოლის ადგილობრივ მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების გზით, რათა მათ შეძლონ სწრაფად ცვალებად გარემოში კომპეტენტურად შეასრულონ საკუთარი მოვალეობები.

ENTO იღწვის თავის მისიისთვის პროფესიული დებატების, ინფორმაციის და გამოცდილების გაცვლის გზით იმ საკითხებზე, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობისთვის და მათთვის მომუშავე ტრენინგ ორგანიზაციებისთვის. გარდა ამისა, ENTO მიისწრაფვის საკუთარი წვლილი შეიტანოს ევროპის საბჭოს და ევროკავშირის საქმეში მიაღწიონ უფრო მაღალ სტანდარტებს სახელმწიფო მართვის სფეროში. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ENTO-ს ჩართვას ამ ინსტიტუტების მიერ განხორციელებულ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის დახმარების პროგრამებში. ამ რეგიონებში ტრენინგ ცენტრებთან თანამშრომლობა ბოლო ათწლეულის განმავლობაში ENTO-ს მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენდა.



ისევე როგორც სხვა ქსელებს, ENTO-ს მრავალფეროვანი წევრები ჰყავს. ზოგიერთ ორგანიზაციას მრავალწლიანი ტრენინგ გამოცდილება აქვს, სხვა წევრები კი შედარებით ახლად დაარსებული ორგანიზაციები არიან. ENTO-ს წევრები მუშაობენ სხვადასხვა ნაციონალურ თუ სამართლებრივ სისტემებში და სხვადასხვა სპეციალიზაცია გააჩნიათ. ENTO წევრობის მთავარი სარგებელი სწორედ ამ მრავალფეროვნებიდან მომდინარეობს, კერძოდ, ქსელი იძლევა საშუალებას მისმა წევრებმა:

- მოიპოვონ ინფორმაცია და დაუკავშირდნენ სხვა ორგანიზაციებს თუ ადამიანებს მათ ქვეყანაში;
- გაცვალონ იდეები და გამოცდილება მათ სფეროში მომუშავე სხვა ორგანიზაციებთან თუ ექსპერტებთან;
- დაუკავშირდნენ ტრენინგის, განვითარების, კვლევის, სახელმწიფოს მართვის და ტრენინგ რესურსების განვითარების სფეროში მომუშავე ექსპერტებს;
- გაცვალონ ტრენინგის და სასწავლო მასალები თუ რესურსები;
- მოიპოვონ წევრების დახმარება საკუთარი საქმიანობის განხორციელებისთვის;
- ორმხრივი და მრავალმხრივი პარტნიორობის განვითარებას ფინანსირების მოსაპოვებლად;
- დაესწრონ ევროპის საბჭოს და ევროკავშირის პროგრამების და პროექტების ფარგლებში განხორციელებულ სემინარებს, მისიებს და სხვა ღონისძიებებს;
- ტრენინგ ორგანიზაციების და თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებისთვის მონაწილეობის საშუალებას სასწავლო და გაცვლით ტურებში სხვა ქვეყნებში მოღვაწე ENTO-ს წევრებთან.

**როგორ შეიძლება გახდეთ ENTO-ს წევრი**

» [Download the Application Form](#)

ENTO-ს წევრობა ღიაა ნებისმიერი ევროპული ორგანიზაციისთვის, რომლის ძირითადი მიმართულებაა ადგილობრივი თვითმმართველობის დეპუტატების და აღმასრულებელი ხელისუფლების აპარატის თანამშრომელთა ტრენინგი.

ENTO-ს ჩვეულებრივი და ასოცირებული ტიპის წევრები ჰყავს :

ჩვეულებრივ წევრებს აქვთ ხმის უფლება და ასეთი სტატუსის მიღება შეუძლიათ მხოლოდ საჯარო ან არასამთავრობო ორგანიზაციებს. ასოცირებულ წევრებს აქვთ მარტო საკონსულტაციო უფლება და ხმის მიცემა არ შეუძლიათ. ახალი წევრის მიღების საკითხს წყვეტს სააპლიკაციო ფორმების საფუძველზე ბიურო.



## ორგანიზაციის სტრუქტურა

ასოციაციის ყველა წევრის შეხვედრას წარმოადგენს გენერალური ასამბლეა. გენერალურ ასამბლევას წელიწადში ერთხელ იწვევს ქსელის პრეზიდენტი. გარდა ამისა, შეიძლება მოხდეს გენერალური ასამბლეს რიგგარეშე შეხვედრაც, თუ ეს მოითხოვთ ბიურომ ან ჩვეულებრივ წევრთა ერთმა მესამედმა.

გენერალური ასამბლეა ასოციაციის საქმიანობის ზოგად მიმართულებებს განსაზღვრავს. ის ამტკიცებს პრეზიდენტის წლიურ ანგარიშს, ისევე როგორც ხაზინადარის წარდგენილ ფინანსურ ანგარიშს. გარდა ამისა ის იხილავს და ამტკიცებს ასოციაციის ანგარიშებს და ახალი წლის ბიუჯეტს.

ENTO-ს მენეჯმენტზე პასუხისმგებელია ბიურო. ბიურო შედგება სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი ცხრა წევრისგან.


ადგილობრივ და რეგიონალურ თვითმმართველობის ორგანოების კონგრესს საკუთარი წარმომადგენელი ჰყავს ბიუროში. ბიუროს წევრები ორი წლის პერიოდით აირჩევა გენერალური ასამბლეს მიერ. შემდგომ ბიურო, საკუთარი წევრებიდან ირჩევს პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტს და ხაზინადარს.

ბ-ნი ბორის ბაკოტა	ხორვატიის ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტი	ხორვატია
ბ-ნი გერტ ფიგუ	გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი	გერმანია
ბ-ნი რაფაელ გარერი	ინოვაციის და ტერიტორიების განყოფილება, ბრეშას პროვინცია	იტალია
ბ-ნი ბორის პერილი	რუსეთის ადგილობრივ მოხელეთა ტრენინგ ქსელი	რუსეთი
ბ-ნი გიორგი მესხიძე	საერთაშორისო ასოციაცია "კვიტას გეორგია"	საქართველო
ქ-ნი იანა ვოლდანოვა	საჯარო მოხელეთა ტრენინგ ცენტრი	ჩეხეთი
ბ-ნი მირეკ ვაროვიცი	ადგილობრივი დემოკრატიის ხელშეწყობი სააგენტო	პოლონეთი


შეხვედრაზე, რომელიც შედგა გენერალური ასამბლეს ყოველწლიური შეხვედრის (2009 წლის ნოემბერი) შემდეგ, ბიურომ აირჩია: ბ-ნი რაფაელ გარერი პრეზიდენტად, ბ-ნი ბორის ბაკოტა ვიცე პრეზიდენტად და ბ-ნი გერტ ფიგუ ხაზინადარად.


## საკონტაქტო ინფორმაცია

### Mr Raffaele GARERI | ENTO-ს პრეზიდენტი


 Provincia di Brescia  
Via Cefalonia, 70  
2512 4 Brescia  
Italia

 Email [askthepresident@ento.org](mailto:askthepresident@ento.org)


 Phone +39 030 3748 530


 Fax +39 030 3749 679


### Europa Networking | ENTO-ს კოორდინატორი

 Via Zelasco, 1  
24122 – Bergamo  
Italy

 Email [secretariat@ento.org](mailto:secretariat@ento.org)

 Skype: europanetworking

 Phone (+39) 035 0141499

 Fax (+39) 02 400 47 613

The service is available Monday-Friday (GMT+1)  
9:00 a.m. – 12:00 (noon) and 2:00 p.m. – 6:00 p.m.